

ქ. თბილისი

” ____ ” _____ 2017

ერთის მხრივ შპს "სპარ" (შემდგომში "ბროკერი") მისი დირექტორის სპარტაკ თიკანაშვილის სახით და მეორეს მხრივ _____ (შემდგომში "დამკვეთი") პ/ნ (ს/კ) _____,

ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

თავი 1. ხელშეკრულების საგანი

წინამდებარე ხელშეკრულებით ბროკერი კისრულობს ვალდებულებას გაუწიოს "დამკვეთს" საბროკერო მომსახურება უძრავი ქონებაზე (შემდგომში "ფართი") განახორციელოს შემდეგი გარიგება: "ფართის" ყიდვა (შემდგომში "ოპერაცია");

ფართის რეკვიზიტები:

მისამართი: _____,

საკადასტრო ნომერი: _____

მესაკუთრე: _____ მესაკუთრის პ/ნ (ს/კ): _____

იმ შემთხვევაში თუ "დამკვეთი" მოქმედებს სხვისი დავალებით, სხვისი ნებითა და სურვილით, მაშინ ის თანახმაა პირადად გადაიხდოს "ბროკერი"-ის საკომისიო თანხას საბროკერო მომსახურების განხორციელების შემთხვევაში.

1.1. წინამდებარე ხელშეკრულებით ბროკერი კისრულობს ვალდებულებას გაუწიოს დამკვეთს საბროკერო მომსახურება, ხოლო დამკვეთი კისრულობს ვალდებულებას გადაუხადოს ბროკერს საკომისიო თანხა (გასამრჯელო) საბროკერო მომსახურების შედეგად გაწეული მომსახურებისათვის, რაც შეადგენს კონკრეტულ თანხას _____ (.....) ლარი, ან საკომისიო თანხა დაითვლება პროცენტულად "ოპერაციის" ღირებულების ____%(). გადახდა უნდა მოხდეს ერთი სამუშაო დღის განმავლობაში "ფართი"-ზე გარიგების (ოპერაციის) მოხდენიდან ან ფაქტიური შესახლებიდან "ფართში", რომელიც უფრო ადრე მოხდება. პირობების დარღვევის შემთხვევაში დამკვეთს ჯარიმის სახით დაეკისრება "ბროკერს" გადაუხადოს გადასახადი თანხის ორმაგი ოდენობა. დამატებით "დამკვეთს" დაეკისრება 0,1% ყოველ გადაცილებულ დღეზე, ასევე ყველა ის ხარჯი, რაც ბროკერს დაეხარჯება ამ ჯარიმის ამოსაღებად სამართლებრივი გზით;

1.2. "ფართზე"-ს განსახორციელებელი გარიგების (ოპერაციის) ღირებულება შეადგენს: _____ () ლარი. აღნიშნული ღირებულება შემდგომში შესაძლებელია შეიცვალოს "დამკვეთი"-ს მიერ საკუთარი შეხედულებით ან მყიდველთან მოლაპარაკების საფუძველზე;

1.3. ხელშეკრულება ითვლება შესრულებულად თუ "ფართი" გაფორმდება "დამკვეთზე" ან მის მეუღლეზე, ან შვილზე, ან მშობელზე, ან სიძეზე, ან რძალზე და ან მესამე პირზე, რომლის ნებითაც მოქმედებდა "დამკვეთი".

თავი 2. "ბროკერი"-ის უფლებები და მოვალეობები:

- 2.1. განახორციელოს "ფართი"-ს დათვალიერება "დამკვეთთან" ერთად;
- 2.2. "დამკვეთი"-ს გაუწიოს კონსულტაცია ყველა კითხვაზე, რომელიც დაკავშირებულია აღნიშნულ ხელშეკრულებასთან. გაუწიოს კონსულტაცია გარიგების სამართლებრივ და ორგანიზაციულ საკითხებში;

თავი 3. "დამკვეთი"-ის უფლებები და მოვალეობები:

- 3.1 "დამკვეთი" ვალდებულია "ბროკერი"-ს მიაწოდოს სრული და ჭეშმარიტი ინფორმაცია თუ გადაწყვეტს "ფართზე" საბოლოო გარიგების განხორციელებას;
- 3.2. „დამკვეთი“ იღებს ვალდებულებას ხელშეკრულების მოქმედების პერიოდის განმავლობაში დაუყოვნებლივ შეატყობინოს „ ბროკერს“ ყველა იმ შემთხვევის შესახებ, როდესაც მან ან მისი მხრიდან სხვა პირმა (მშობელი, მეუღლე, შვილი, სიძე, რძალი, ნათესავი, ან მესამე პირი, რომლის ნებითაც მოქმედებდა "დამკვეთი" ა. შ.) „ ბროკერის“ გარეშე მიმართა გამყიდველს "ფართი"-ზე გარიგების განსახორციელებლად. "დამკვეთის" მხრიდან ამ ინფორმაციის შეუტყობინებლობა ჩაითვლება საბროკერო მომსახურების გადახდისაგან თავის არიდების მცდელობად;
- 3.3. "დამკვეთს" ეკრძალება ჩუმად გადასცეს სხვას ინფორმაცია აღნიშნულ "ფართზე", გარიგების განსახორციელებლად. ეს ცაითვლება ჩაითვლება საბროკერო მომსახურების გადახდისაგან თავის არიდების მცდელობად;
- 3.4. თუ ბროკერმა განხორციელდა წარმატებით "დამკვეთმა" სრულად უნდა შეასრულოს 1.1. მუხლში მითითებულ პირობა. პირობების დარღვევის შემთხვევაში დამკვეთს ჯარიმის სახით დაეკისრება "ბროკერს" გადაუხადოს გადასახადი

თანხის ორმაგი ოდენობა, ასევე დამატებით აუნაზღაუროს ყველა ის ხარჯი, რაც მას დაეხარჯება ამ ჯარიმის ამოსაღებად;

3.5. თუ ამ ხელშეკრულებით "დამკვეთი" იხდის 0% (ნული), ეს ნიშნავს რომ "ბროკერს" სრულ საკომისიოს უხდის "ფართის" მესაკუთრე. ამ შემთხვევაში "დამკვეთი" მაინც ვალდებულია ამ ხელშეკრულების ყველა პუნქტი (3.1; 3.2; 3.3 და სხვა) შეასრულოს და თუ მისი შეუსრულებლობის გამო "ფართის" მესაკუთრეს საშუალება მიეცემა თავი აარიდოს საბროკერო მომსახურების საკომისიო თანხის გადახდას, ამ თანხას აანაზღაურებს (გადაიხდის) თავად "დამკვეთი".

თავი 4. მხარეთა პასუხისმგებლობა

- 4.1. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებაზე საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად.
- 4.2. მხარეები თანახმანი არიან დავის შემთხვევაში საქმე განიხილოს კერძო არბიტრაჟმა;

თავი 5. ფორს-მაჟორი

5.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან, თუ ეს განპირობებული იქნება დაუძლეველი ძალის ან სხვა სახის ფორს-მაჟორული გარემოებებით. ვალდებულებების შესრულება გადაიდება ფორს-მაჟორული გარემოებების ლიკვიდაციამდე.

თავი 6. დამატებითი პირობები

- 6.1. მიმდინარე ხელშეკრულება ძალაში შედის ორივე მხარის მიერ ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს მის სრულ შესრულებამდე ან შეწყვეტამდე;
- 6.2. ორივე მხარეს უფლება აქვს გაწყვიტოს ხელშეკრულება, რისთვისაც წერილობით უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს ამის შესახებ. ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ აღნიშნული ხელშეკრულება მაინც ვრცელდება იმ შემთხვევებზე, თუ "დამკვეთმა" გარიგება განახორციელა **ბროკერის** მიერ მიყვანილ მყიდველთან, ან მყიდველის მხრიდან სხვა პირთან (მშობელი, მეუღლე, შვილი, სიძე, რძალი, ნათსავი და ა. შ.)
- 6.3. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია 2(ორი) თანაბარი იურიდიული ძალის ეგზემპლარად. თითო ეგზემპლარი გადაეცემათ მხარეებს.

შპს "სპარ" (ბროკერი) (დამკვეთი)
ქ.თბილისი. ვაჟა-ფშაველას16, VIII სართ. 811ოთ.
საბანკო რეკვიზიტები:
შპს "სპარ"	მისამართი:
ს/კ: 205290424
სს "საქართველოს ბანკი"
ა/ა: GE53BG00000085525500	პ/ნ:
ბანკის კოდი: BAGAGE22
_____ ს. თიკანაშვილი	ტელეფონი:.....
"__" _____ 2017წ.	_____ ხელმოწერა
http://www.spar.ge	~__~ _____ 2017წ.